

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ.თბილისი

21.10.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კიკალაიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დიმიტრი ალავიძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

მიხეილ კორმახია - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
ზაქარია შველიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო კოპალეიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი;

ლიკა გიორგაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ქ. ჭინჭარაძე;

მ. ჩხენკელი;

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ი. კვაჭაძე;

რ. ბერიაშვილი;

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლები:

გ. ბულაძე;

ნ. ლაღანიძე;

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18²⁵ სთ-ზე და შეამოწმა ქვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო (ექთანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო (ზეზიქალი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციაში მრჩეველის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამრეწველო ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის

საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

45. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ანიმატორის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

46. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვიზუალური გამოსახულების დიზაინერის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ, გამოქვეყნა შუამდგომლობა. ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სააკრედიტაციო განაცხადში დაშვებული იქნა შეცდომა და პროგრამის სახელწოდებად, ნაცვლად "ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის სამაგისტრო პროგრამისა" მითითებული იქნა "ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა", რაც გამოვლინდა სააკრედიტაციო ვიზიტის დროს. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ დღის წესრიგში მითითებული იყო "ფარმაციის სამაგისტრო" პროგრამა, თუმცა, ფაქტობრივად, საექსპერტო დასკვნის საგანი გახდა "ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის სამაგისტრო პროგრამა". აქედან გამომდინარე, ცენტრის შუამდგომლობაა დღის წესრიგის მე-18 საკითხი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული გარემოება და მხარი დაუჭირა შუამდგომლობას.

საბჭომ იმსჯელა და დაამტკიცა დღის წესრიგი შეცვლილი სახით.

1. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: მიხეილ ლაბარტყავა (თავმჯდომარე) ნატალია ბარათელი, ციციხო თურქაძე, თამარ ურუშაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო პროგრამა მოიცავდეს არჩევით საგნებს და თავისუფალ კრედიტებს;
- სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდება „გეოფიზიკა“ შეიცვალოს „სამიებო და გამოყენებითი გეოფიზიკით“, რამდენადაც სილაბუსის მიხედვით სასწავლო კურსის შინაარსი სამიებო და გამოყენებით გეოფიზიკას შეესაბამება;
- სასურველია სასწავლო პროგრამაში აისახოს საველე-სასწავლო პრაქტიკები, რათა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი გაადვილდეს და კურსდამთავრებულმა თავისუფლად შეძლოს საველე პროექტების განხორციელება, მონაცემთა შეგროვება და მათი დამუშავება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება და იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია დაზუსტდეს სტუდენტებისათვის სწავლებისა და სწავლის მეთოდებში შეთავაზებული დამოუკიდებელი მუშაობის ისეთი ფორმების მიზანშეწონილობა როგორცაა, მაგალითად პრეზენტაციის მომზადება და განხილვა ან პოსტერის მომზადება და განხილვა. თუ მოცემული ფორმატი სტუდენტისათვის აუცილებელი საქმიანობაა, მაშინ სასურველი იქნება სილაბუსებში უფრო ნათლად იყოს მითითებული კონკრეტულად ამ აქტივობის შეფასების კრიტერიუმებიც.

- მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგებში დარგობრივი კომპეტენციები მკაფიოდ არის აღწერილი, ზოგადი კომპეტენციები გაწერილია პუნქტობრივად ცალ-ცალკე (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები) უმეტესად ზოგად კომპეტენციებთან ერთად აღწერილია დარგობრივი კომპეტენციებიც, რისი აუცილებლობაც არ არის.

- სილაბუსების ნაწილში დარგობრივ კომპეტენციებში აღნიშნულია რომ სასწავლო კურსის დარგობრივ შედეგებში აღწერილია უფრო მეტი კომპეტენცია, ვიდრე ეს სასწავლო კურსის მიზნით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, სასურველია უკეთ დაზუსტდეს კომპეტენციების დარგობრივი ნაწილი.

- რიგ შემთხვევებში კომპეტენციები ჩამოყალიბებულია არაზუსტი ფრაზებით, (მაგ. „უცხოური ენის ცოდნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ... ახალი ინფორმაციის მოპოვებას“ ან „პრეზენტაციის მომზადების პროცესში მას დასჭირდება გამოიყენოს და განავითაროს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები“. შესაბამისად ზოგიერთ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს კომპეტენციების ფორმულირება.

- რიგ შემთხვევებში მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგებში დარგობრივი კომპეტენციები მკაფიოდ არის აღწერილი, კომპეტენციების ჩამონათვალში გვხვდება საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი შედეგი. შესაბამისად დაზუსტებას მოითხოვს შედეგების/კომპეტენციების ნაწილი.

- სწავლის შედეგებში/კომპეტენციებში არსებული უზუსტობების აღმოსაფხვრელად რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქის შემუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. რისი გამოსწორებაც ვიზიტის დროს იყო შესაძლებელი, გამოსწორდა, დანარჩენზე მუშაობა კი მიმდინარეობს. სილაბუსებში მითითებულ კომპეტენციებზე გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავდაპირველად უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო ექვსივე კომპეტენციის გამომუშავებაზე, რაც ხელოვნურობის წილს ცალკეულ სილაბუსში მართლაც ზრდიდა. ექსპერტთა რეკომენდაცია გაზიარებული იქნა და კომპეტენციები აუცილებლად დაზუსტდება, რასაც კომპეტენციების რუქაც შეუწყობს ხელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ორ ენაზე (ქართული და ინგლისური) არის წარმოდგენილი. სილაბუსები იდენტურია, ასევე სახელმძღვანელოები, თავისი დონით, თვისობრივად იდენტურია. თავად პროგრამაც ორივე ენაზე ხორციელდება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, პროგრამას დაერთოს სწავლის შედეგების რუქა, კომპეტენციების ბადის სახით;
- სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში უკეთ დაზუსტდეს სწავლის შედეგები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციას სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების რუქის შესახებ, სწავლის შედეგები აუცილებლად იქნება კორექტირებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეთიანი, ნატო ალავეძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გამოიკვეთოს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა;
- სასურველია საგნების არჩევისას სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი არჩევანის შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და ამასთან, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საუბარია არა პროგრამაში არჩევითი დისციპლინების წილზე, არამედ ასარჩევი საგნების დიაპაზონზე. მისი თქმით, აღნიშნული აუცილებლად იქნება გამოსწორებული, მომავალში უნივერსიტეტი იმუშავებს პროცენტული წილის შეცვლაზე. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკაში, პედაგოგი ნამდვილად მუშაობს სტუდენტებთან ინდივიდუალურად, უბრალოდ, პერსონალის ინდივიდუალური მუშაობა გაფორმებული არ ყოფილა იმდაგვარად, რომ ექსპერტისათვის ამომწურავად ინფორმაციული ყოფილიყო. თავად დატვირთვის სქემა არ მოიცავდა აღნიშნულ ინფორმაციას, რაც გამოსწორებადია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავეძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სილაბუსებში ექვსივე კომპეტენციის აუცილებელ რეჟიმში გაწერა სავალდებულო არ არის, რადგან ტექსტი შეიძლება არ შეესაბამებოდეს აღნიშნულ კომპეტენციას.
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები (მაგ. ითვალისწინებდეს რეფერატის შეფასების კრიტერიუმებსაც).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და ამ მხრივ მუშაობა უკვე დაიწყო, რეფერატი შეფასებისას გათვალისწინებულია, აუცილებელია მისი, როგორც ცალკე კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები სილაბუსშიც იყოს მოცემული.

სილაბუსებში მითითებულ კომპეტენციებზე გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავდაპირველად უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო ექვსივე კომპეტენციის გამომუშავებაზე, რაც ხელოვნურობის წილს ცალკეულ სილაბუსში მართლაც ზრდიდა. ექსპერტთა რეკომენდაცია გაზიარებული იქნა და კომპეტენციები აუცილებლად დაზუსტდება.

სხდომაზე დაისვა შეკითხვა, რამდენად მოთხოვნადი იყო ეს პროფესია, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დარგი განვითარდა ბოლო პერიოდში და ამან თავად პროფესია, ცხადია, პოპულარული გახადა, რასაც მობილობის შედეგებიც ადასტურებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

7. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის (ექთან) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭო დაინტერესდა, რამდენად დიდი იყო აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა. პროგრამის ხელმძღვანელმა, დაწესებულების წარმომადგენელმა, კახაბერ ჭელიძემ, აღნიშნა, რომ სამწუხაროდ მცირეა ინტერესი, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ პროგრამაზე მოსახვედრად ოთხი გამოცდის ჩაბარება გახდა საჭირო. მისი თქმით, დაწესებულება მუშაობს საექთნო საქმის პოპულარიზაციაზე, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის (ექთან) საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის (ექთან) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

8. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის (ბებიაქალი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის (ბებიაქალი) საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის (ბებიაქალი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

9. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

10. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების პირადი საქმეებიდან (სამუშაო გამოცდილებითა და გამოქვეყნებული შრომებით) დასტურდება მათი კომპეტენტურობა შესაბამისი მიმართულებებით, თუმცა, სასურველია პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართოს პირი/პირები ვისაც მინიჭებული აქვთ კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების/მენეჯმენტის მიმართულებით;
- სასურველია უკეთ დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, სპეციალობაში გამოცდის ნაწილში;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდები (საქმიანი თამაშების, პროექტის მომზადება/პრეზენტაციის და ა.შ.);
- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში მითითებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- სასურველია ცალკეულ სასწავლო კურსებში უფრო გამჭვირვალედ წარმოჩინდეს შეფასების კრიტერიუმები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. მისი განმარტებით, დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად ჰყავს კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი, თუმცა, სამედიცინო განათლების. რადგან კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით პროგრამა შედის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაში, მოსაწვევ პედაგოგთა ნუსხაში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული რამდენიმე მენეჯერი.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეგულირდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების საკურაციო სამსახურის მიერ და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ცალკე დოკუმენტი არსებობს. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, აუცილებლად მოხდება აღნიშნული კრიტერიუმების ასახვა თავად პროგრამაში.

შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასების კომპონენტები იყო სილაბუსებში, თუმცა, არ ყოფილა კომპონენტების აღწერა. შენიშვნა მიღებულია და აკადემიურ პერსონალს მიეცა შესაბამისი მითითება.

საბჭო დაინტერესდა, რამდენად მოთხოვნადი იყო პროფესია და როგორი იყო დასაქმების მაჩვენებელი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაზე ყოველთვის დიდი კონკურსია. დასაქმების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საბჭომ იმსჯელა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში აისახოს საკურსო და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- სასურველია დაზუსტდეს სწავლის შედეგები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იზიარებდა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- სასურველია დაზუსტდეს სწავლის შედეგები;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული რეგულირდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების საკურაციო სამსახურის მიერ და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებთ ცალკე დოკუმენტი არსებობს. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, აუცილებლად მოხდება აღნიშნულის ასახვა თავად პროგრამაში.

საბჭომ იმსჯელა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციაში მრჩევლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციაში მრჩევლის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებები“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციაში მრჩევლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

14. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დანტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ჩიხლაძე (თავმჯდომარე), სოფიო უჩანეიშვილი, ნატო ალავიძე, ირინე ფხაკაძე, შორენა ჭუმბურიძე, ბექა თედორაძე, ლიკა გიორგაძე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია, რომ პროგრამაში აისახოს საკურსო და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

